



საქართველოს თავდაცვის მინისტრის
ბრძანება

ქ. თბილისი



MOD 7 20 00000263

20/03/2020

საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელებასთან დაკავშირებული რისკების შეფასების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის N580 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელებასთან დაკავშირებული რისკების შეფასების მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მოსამსახურეებს დაევალოთ:
 - ა) სამინისტროს პორტალზე (<http://covid.mil.ge/>) ან ოფიციალურ ვებგვერდზე (<http://covid.mod.gov.ge/>) განთავსებული ელექტრონული კითხვარის დაუყოვნებლივ შევსება და კითხვარისთვის მინიჭებული გენერირების კოდის შენახვა;
 - ბ) ახალი გარემოების გამოვლენის შემთხვევაში, ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კითხვარის დაუყოვნებლივ დამატებით შევსება.
2. დაევალოს სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს ყოველდღიურად გადაუგზავნოს შევსებული კითხვარები საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამედიცინო დეპარტამენტს, საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის J-3 ოპერატიული დაგეგმვის დეპარტამენტის სამხედრო მართვის ცენტრს, სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტს.
3. სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ ამ ბრძანების მიზნების გათვალისწინებით, ანალოგიური შინაარსის ბრძანების გამოცემისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს ლელა ჩიქოვანს და საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოვალეობის შემსრულებელს გენერალ-მაიორ ზაზა ჩხაიძეს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი
ირაკლი ღარიბაშვილი